



CE COMMISSION

ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზი:

საკვიარო მმართველის ინსტიტუტი

კონვენციის მოთხოვნებს არღვევს

SSION DE VENICE

2021 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი დასკვნა No. 1008 / 2020.¹

დასკვნის ფარგლებში მიმოხილულია განხორციელებული ცვლილებების თავსებადობა ადამიანის უფლებათა და ძირითად უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან (შემდგომ „კონვენცია“). სახელდობრ, დასკვნაში განხილულია რამდენად თავსებადია სპეციალური მმართველის (შემდგომ “სპეციალური მმართველი” ან დროებითი მმართველი”) დანიშვნა და შესაბამისი პროცედურა საკუთრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებისა საკანონმდებლო ცვლილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობაზე.

1. სპეციალური მმართველის ინსტიტუტი და საკუთრების უფლება (კონვენციის პირველი პროტოკოლის პირველი მუხლი).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი პროტოკოლის პირველი მუხლი აღიარებს და იცავს საკუთრების უფლებას. ვენეციის კომისიამ, დროებითი მმართველის ინსტრუმენტის შეფასებისთვის გამოიყენა თანაზომიერების პრინციპი. თანაზომიერების პრინციპი გულისხმობს, უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვის ფორმას შორის მიმართების დადგენის 3 ელემენტს: **გამოსადეგობას, აუცილებლობას და პროპორციულობას ვიწრო გაგებით**. აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლებასთან მიმართებით, ვენეციის კომისიამ ყოველი დასახელებული მოთხოვნის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, დასკვნის ავტორთა შეფასებით, დროებითი მმართველის ინსტრუმენტი არსებული ფორმით, ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის ვერცერთ მოთხოვნას.

შეფასებაში მოხმობილია, განმარტებითი ბარათი, აგრეთვე ვირტუალური შეხვედრისას კომისიისთვის მიცემული განმარტებები და მითითებულია, რომ დროებითი მმართველის დანიშვნის მიზანია ინტერნეტის სერვისის მოწოდების ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფა და ამ გზით, ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მომხმარებელთა დაცვა იმ საფრთხეებისგან, რომლებიც

¹ JOINT OPINION OF THE VENICE COMMISSION AND THE DIRECTORATE GENERAL OF HUMAN RIGHTS AND RULE OF LAW (DGI) OF THE COUNCIL OF EUROPE ON THE RECENT AMENDMENTS TO THE LAW ON ELECTRONIC COMMUNICATIONS AND THE LAW ON BROADCASTING, No. 1008 / 2020, 22 March 2021. [იხ. ბმულს](#)

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შეუტყობინებელი და უკანონო შერწყმა/გაერთიანებიდან, ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელთათვის დადგენილი ვალდებულებებიდან მომდინარეობს.

1.1. დროებითი მმართველის ინსტრუმენტი არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი/ვარგისი საშუალება

ვენეციის კომისიის მითითებით, არ არსებობს წინასწარი შეფასების დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გამორკვევა, თუ რა მოცულობით და რა გზებით ამცირებს დროებითი მმართველის ინსტიტუტი არაკონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების რისკებს.² დამატებით, ვენეციის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კავკასუს ონლაინში დროებითი მმართველი უკვე დაინიშნა, თუმცა ვინაიდან არაავტორიზებული ტრანზაქციის მეორე მხარე არ არის შებოჭილი საქართველოს კანონმდებლობით დროებითი მმართველი კომისიის გადაწყვეტილების შესრულებას მაინც ვერ უზრუნველყოფს. დასკვნის ავტორებმა, ყურადღება გაამახვილეს, რომ GNCC-ის მიერ დაინიშნულ დროებით მმართველს გააჩნია სრული მმართველობითი ძალაუფლება, თუმცა ფაქტია, რომ იგი მაინც ვერ ახერხებს იმ გარიგების გაუქმებას, რომელიც კომუნიკაციების კომისიამ საფრთხის შემცველად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, ვენეციის კომისია ასკვნის, რომ დროებითი მმართველი ინსტიტუტი ვერ აღწევს იმ მიზნებს, რომლისთვისაც იგი შეიქმნა.³

ვენეციის კომისიის განმარტებით, საკუთრების უფლების შეუტყობინებელი და უკანონო გადაცემის რისკები მხოლოდ მენეჯერული მოქმედებების განხორციელებით ვერ შემცირდება და თუ სახელმწიფოს მიზანი იყო კონტროლის აღდგენა, მას ყურადღება საკუთრების უფლების პირობებზე და რესტიტუციაზე უნდა გაემახვილებინა.⁴

1.2. ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია განხორციელდეს უფლების ნაკლებად მზლუდავი საშუალების გამოყენებით

² პარაგრაფი 28

³ პარაგრაფი 29

⁴ პარაგრაფი 32

ვენეციის კომისიამ მიუთითა, რომ სახელმწიფო მიზნის მისაღწევად არ იყენებს უფლების ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას. დასკვნის თანახმად, მიზნის მიღწევის უკეთესი საშუალება იქნებოდა წინასწარი ინტერვენციები კონკრეტული რისკების გამოსარიცხად. აგრეთვე, თუ კომუნიკაციების კომპანიას არაკონკურენტული ბაზრის შექმნის მცდელობა ექნებოდა, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას ჰქონდა ყველა შესაძლებლობა მომხმარებელთა უფლებების დასაცავად და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე სხვათა დასაშვებობის უზრუნველსაყოფად. ვენეციის კომისიის მითითებით, ამის ნაცვლად პარლამენტმა შეარჩია მეთოდი, რომელსაც მხოლოდ არაპირდაპირი deterring effect (შემაკავებელი ეფექტი) გააჩნია, რაც კომისიის მითითებით, განხორციელებულ ცვლილებებს პროპორციულად არ აქცევს, ვინაიდან მხოლოდ შემაკავებელი ეფექტი არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს.

1.3. დროებითი მმართველის ინსტრუმენტის არსებული მოდელი არის მძიმე და ვერ აკმაყოფილებს ვიწრო პროპორციულობის მოთხოვნებს.

დამატებით, ვენეციის კომისიამ მიუთითა, რომ დროებითი მმართველის დანიშვნის წინაპირობები არის ბუნდოვანი და ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნას. კომისია მიუთითებს, რომ ვირტუალური შეხვედრებისას არაერთხელ გაჟღერდა ტერმინი “კრიტიკული ინფრასტრუქტურა” თუმცა, დროებითი მმართველის დანიშვნის წინაპირობები (როგორცაა, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესისთვის ზიანი მიყენება, კონკურენტული გარემოს და მომხმარებელთა ინტერესების დაზიანება) უფრო ფართოა ვიდრე მხოლოდ ამგვარი ინფრასტრუქტურის დაცვა.⁵ ვენეციის კომისიის მოსაზრებით, პარლამენტის მიერ, მსგავსი ბუნდოვანი ტერმინების შეფასების ადმასრულებელი ხელისუფლებისთვის გადადნობა დაუშვებელია სახელმძღვანელო კრიტერიუმების გარეშე.⁶

ვენეციის კომისია, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დროებითი მმართველის უფლებამოსილებები არის განსაკუთრებულად ფართო⁷ და ლიკვიდატორის უფლებამოსილებებს უფრო წააგავს. კომისია მიუთითებს, რომ მას არ გააჩნია ინფორმაცია მარეგულირებელი ორგანოს ანალოგიური უფლებამოსილების შესახებ ევროპის კონტექსტში.⁸ დასკვნაში

⁵ პარაგრაფი 34

⁶ პარაგრაფი 33

⁷ პარაგრაფი 35

⁸ იქვე

შეშფოთებაა გამოხატული იმ გარემოებაზე, რომ დროებითი მმართველის დანიშვნის ხანგრძლივობა განუჭვრეტელია. კერძოდ, დროებითი მმართველის უფლებამოსილება სრულდება როდესაც ის აღასრულებს კომუნიკაციების კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებას, თუმცა თუ დროებითი მმართველი აღნიშნულს ვერ ახერხებს, მისი უფლებამოსილების ვადა სრულად კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებაზეა დამოკიდებული.⁹

დასახელებული არგუმენტებიდან გამომდინარე, ვენეციის კომისიამ მიიჩნია რომ დროებითი მმართველის ინსტიტუტის არსებული რედაქცია ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. კერძოდ, შეზღუდვა არალეგიტიმურია და იმავდროულად იგი ვერ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

2. დროებითი მმართველის ინსტიტუტი გამოხატვისა და მედიის თავისუფლების კონტექსტში (კონვენციის მე-10 მუხლი)

კომისია განმარტავს, რომ დროებითი მმართველის ინსტიტუტი ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციისა და ინტერნეტის პროვადერებზე, რომლებსაც ხშირად ორმაგი ლიცენზია გააჩნიათ. სხვაგვარად, ახორციელებენ ელექტრონული კომუნიკაციის სერვისების მიწოდებას და იმავდროულად არიან მაუწყებლები, წარმოადგენენ მედიას. მედიის თავისუფლება და სახელმწიფოს გარეშე ფუნქციონირება, თავის მხრივ კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროს მიეკუთვნება.

ვენეციის კომისია აღიარებს, რომ სახელმწიფოს არ სურს გამოხატვის თავისუფლების/მედიის თავისუფლების ნაწილში ჩარევა. იმავდროულად კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ GNCC-ის შეუძლია დანიშნოს დროებითი მმართველი, რომელიც არ არის შებოჭილი კორპორაციული სამართლის შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმებით.

კომისია ჩამოთვლის დროებითი მმართველის სხვადასხვა მენეჯერულ უფლებამოსილებას და აღნიშნავს, რომ მისი ეს ფუნქციები იძლევა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ მედიის სარედაქციო პოლიტიკაში პირდაპირ ან ირიბად ჩარევის შესაძლებლობას. ამასთან აღნიშნავს, რომ დროებითი მმართველის დანიშვნამ, ასევე მისი დანიშვნის შესაძლებლობამაც კი იმ კომპანიაში, რომელსაც

⁹ პარაგრაფი 36

იმავდროულად მაუწყებლის ლიცენზია გააჩნია, შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს მაუწყებლის დამოუკიდებლობაზე.¹⁰

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით, ვენეციის კომისიამ დაინახა ქსელის ნეიტრალიტეტის (net neutrality) პრინციპის დარღვევის რისკი. კერძოდ, კომისიამ აღნიშნა, რომ სპეციალური მმართველის დანიშვნით კომუნიკაციების ეროვნული კომისია იღებს ელექტრონული ქსელის კონტროლის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ, ქმნის ქსელის არანეიტრალურ საწყისებზე გამოყენების რისკებს.¹¹

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ საჭიროა კანონში არსებობდეს ცხადი გარანტია, რომ დროებითი მმართველის ინსტრუმენტი არ იქნება გამოყენებული მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის წინააღმდეგ. არსებული მდგომარეობით, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე პრიმა მუხლი მედიის თავისუფლებაში ჩარევისა და სარედაქციო პოლიტიკაზე მსუსხავი ეფექტის გამოწვევის რისკებს შეიცავს.¹²

3. ვენეციის კომისიის მოსაზრება, დროებითი მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების თაობაზე (კონვენციის მე-6 მუხლი)

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად, დროებითი მმართველის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ამ გადაწყვეტილების მოქმედებას ავტომატურად არ აჩერებს, თუმცა სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი აქტის მოქმედების შეჩერება.

ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა სასამართლოს პროცესის ხანგრძლივობას და იმ დროს, რაც მას შეიძლება დასჭირდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. მან დამატებით ყურადღება გაამახვილა, რომ ხანგრძლივი სასამართლო პროცესები არამხოლოდ საფრთხეს უქმნის სასამართლოს ეფექტურობას არამედ აკნინებს მის რეპუტაციასაც. დასკვნიდან იკითხება, რომ ვენეციის კომისიამ ირიბად, სახელმწიფოში მართლმსაჯულების საერთო მდგომარეობა და კონტექსტი

¹⁰ პარაგრაფები 46, 47, 48, 49

¹¹ პარაგრაფები 50, 51

¹² პარაგრაფები 52, 53

გაითვალისწინა¹³ და აღნიშნა, რომ უნდა შეზღუდეს სუსპენსიური ეფექტის მტკიცების ტვირთი. კერძოდ, დროებითი მმართველის დანიშვნის აქტის სასამართლოში გასაჩივრება უნდა იწვევდეს ამ აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას, და ამის შემდგომ უნდა იმსჯელოს სასამართლომ რამდენად აუცილებელია შეჩერებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.¹⁴

4. ვენეციის კომისიის მოსაზრება საკანონმდებლო ცვლილებების დაჩქარებულად მიღების თაობაზე

ვენეციის კომისია ცალკე გამოყოფს ელექტრონული კომუნიკაციების კანონში შესატანი ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღებას. კომისია აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ გაუკეთებია ცვლილების გავლენის შეფასება, ხოლო კანონპროექტის განმარტებით ბარათში ცვლილების სწრაფად მიღების თაობაზე დასაბუთება არ არის წარმოდგენილი და დამაჯერებელი არგუმენტები ვერც ვენეციის კომისიის დელეგაციამ მიიღო. კომისია ყურადღებას ამახვილებს, რომ ცვლილების დაჩქარებულად მიღების საჭიროება განპირობებული იყო კონკრეტული საქმით [კავკასუს ონლაინში დროებითი მმართველის დანიშვნა], თუმცა ეს საქმე, 2021 წლის თებერვლისთვის ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

ვენეციის კომისიამ მიუთითა კანონის უზენაესობის პრინციპზე და აღნიშნა, რომ კანონის მიღებამდე უნდა ხდებოდეს მისი გავლენის შეფასება, ასევე კანონის მიღების პროცედურის გამჭვირვალედ წარმართვა და მასში ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობის შესაძლებლობა.

5. ვენეციის კომისიის შეფასების დასკვნითი ნაწილი

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილია ქართველი კანონმდებლის წინაშე არსებული სირთულე, რომელიც მსგავსი მაღალი სენსიტიურობის საკითხის გადაწყვეტას შეეხება. ამასთან, კომისია იაზრებს კანონმდებლის მიზანს, საფრთხის ქვეშ არ დააყენოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა საბოლოო მომხმარებლისათვის, შესაბამისად არ უჭერს მხარს ოპერატორის ლიცენზიის გაუქმებას შიდა კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, კანონმდებლის მიერ შერჩეული საკითხის გადაწყვეტის არსებულ მექანიზმს, რომელიც კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე პრიმა მუხლსა და მე-

¹³ პარაგრაფები 63, 64

¹⁴ პარაგრაფი 69

11 მუხლის 1¹ პუნქტშია გაწერილი, აქვს დიდი გავლენა საკუთრების უფლების, მედიის თავისუფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების კუთხით. შესაბამისად, ვენეციის კომისია მოუწოდებს კანონმდებელს სრულად და სიღრმისეულად გადაიხედოს კანონში განხორციელებული ცვლილებებს.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციების “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 46¹ მუხლთან დაკავშირებით

- ჩატარდეს რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) და კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან;
- შესწორდეს 46-ე მუხლის პირველი პუნქტი, ისე რომ შესაბამისობაში მოვიდეს ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის პირველ და მე-10 მუხლებთან;
- დაზუსტდეს 46-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლები შემდეგი ტერმინების განმარტების გზით: “ქვეყნის ეკონომიკური ინტერსი”, “კრიტიკული ინფრასტრუქტურა” და “უსაფრთხოების ინტერესები”;
- შეიცვალოს 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ისე, რომ ჩანაწერი ნათლად ადგენდეს, რომ შესაბამისი მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მაუწყებლობის განმახორციელებელ ელექტრონული კომუნიკაციების ოპერატორებზე.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლთან დაკავშირებით.

- გაუქმდეს მე-11 მუხლში შესული ცვლილება და დაუბრუნდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც კომუნიკაციების კომისიის მიერ 46 (1) მუხლის საფუძველზე მიღებული დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება გამოიწვევს მისი მოქმედების შეჩერებას.
- ნათლად განისაზღვროს 46 (1) მუხლის საფუძველზე სპეციალური მმართველის დანიშვნის შემთხვევაში დანიშვნის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის უფლებამოსილი პირი და გასაჩივრების ვადები; მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე პირს უნდა მიეცეს თავისუფალი წვდომა გასაჩივრებისათვის საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტებზე.

6. ვენეციის კომისიის შეფასების ძირითადი ასპექტების მიმოხილვა

ვენეციის კომისიის დასკვნა განსაკუთრებული კრიტიკულობით აფასებს “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც მარეგულირებელ კომისიას ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში ავტორიზებულ კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნის უფლებამოსილება მიენიჭა. ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ დროებითი მმართველის ინსტიტუტის არსებული რედაქცია ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. კერძოდ, სპეციალური მმართველის არსებული ინსტიტუტი ვერ პასუხობს თანაზომიერების პრინციპისა და ლეგიტიმურობის მოთხოვნებს ქვემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო:

- **სპეციალური მმართველი ინსტიტუტი ვერ აღწევს იმ მიზნებს, რომლისთვისაც იგი შეიქმნა**, რადგან მიუხედავად სრული მმართველობითი ძალაუფლებისა, ის მაინც ვერ ახერხებს იმ გარემოებების შებრუნებას, რომელიც კომუნიკაციების კომისიამ საფრთხის შემცველად მიიჩნია.
- **სახელმწიფო მიზნის მისაღწევად არ იყენებს უფლების ყველაზე ნაკლებად მზღლდავ საშუალებას**. კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებას მხოლოდ არაპირდაპირი შემაკავებელი ეფექტი (detering effect) გააჩნია, რაც კომისიის მითითებით, განხორციელებულ ცვლილებებს პროპორციულად არ აქცევს, თავისთავად შემაკავებელი ეფექტი კი არ არის ლეგიტიმური მიზანი.
- **დროებითი მმართველის უფლებამოსილებები განსაკუთრებულად ფართოა და ლიკვიდატორის უფლებამოსილებებს უფრო წააგავს**. ბუნდოვანია დროებითი მმართველის უფლებამოსილების დასრულების ვადა. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ მას ევროპის მასშტაბით მარეგულირებელი ორგანოს ანალოგიური უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.
- **დროებითი მმართველის ინსტიტუტი ვრცელდება ისეთ კომპანიებზე, რომლებიც ახორციელებენ სამაუწყებლო საქმიანობას, წარმოადგენენ მედიას**. ვენეციის კომისიის შეფასებით, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო უფლებამოსილება, რომლითაც შეუძლია მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა. დროებითი მმართველის დანიშვნამ, ასევე მისი დანიშვნის შესაძლებლობასაც კი მსუსხავი ეფექტი იქონიოს სარედაქციო დამოუკიდებლობაზე.
- **აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების სარგებლობისთვის**. ვენეციის კომისიამ მიუთითა, რომ სპეციალური

მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილების გასაჩივრებამ ავტომატურად უნდა შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების აღსრულება.

- სახელმწიფოს არ გაუკეთებია ცვლილების გავლენის შეფასება. კანონპროექტი მიღებულ იქნა სწრაფად და ამგვარი სისწრაფით საჭიროება ვერ საბუთდება. ვენეციის კომისიის დელეგაციამ ვერ მიიღო დამაჯერებელი არგუმენტები კანონის დაჩქარებულად მიღების საჭიროების თაობაზე. კომისია მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია კანონის მიღების პროცედურის გამჭვირვალედ წარმართვა და მასში ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ვენეციის კომისიამ ფაქტობრივად ყველა იმ უფლების დარღვევის რისკი დაინახა, რომელთანაც სპეციალურ მმართველს შეიძლება ჰქონდეს შეხება. ამდენად, კომისიამ მიუთითა, რომ სპეციალური მმართველის ინსტიტუტი არსებული ფორმით არღვევს საკუთრების უფლებას, ქმნის მედიისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის საფრთხეს. ვენეციის კომისიას პირდაპირ არ აღუნიშნავს, რომ სპეციალური მმართველის ინსტიტუტი თავისთავად არღვევს კონვენციას, თუმცა კომისიის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ირიბად სწორედ ამაზე მიუთითებს.

ვენეციის კომისიის შეფასება კიდევ ერთხელ ცხადყოფს საქართველოს პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო აქტორების მიერ ნაჩქარევად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრობლემურობას. ამასთან, დასკვნა ადასტურებს, რომ სპეციალური მმართველის ინსტიტუტი, საფრთხეს უქმნის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებლურ პრინციპებს.



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.